ეროვნული თავისუფლების გზით - პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით - ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№45 (1483) 26-30 სექტემბერი, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაგან საქმეთა მინისტრი: ბატონო პრეზიდენტო, თუ დაკარგული ტერიტორიები არ შემოვიერთეთ დროულად, დარჩენილ ტერიტორიაზე ამდენი დაჭერილი ხალხი ალარ დაგვეტევა...

სასამართლომ დაადგინა თანამიზ სიგუას გამოსახლება (?)

მესამე გვერდი

საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები - კრემლის აგენტები

როგორც დღეს ფრაქცია "ეროვნულ-დემოკრატის" თავმჯდომარემ მ. გიორგაძემ განაცხადა, საქართველოში მოქმედი ფართო აგენტურის ქსელის სია სათანადო ორგანოებმა სამზეოზე უნდა გამოიტანონ. მან თავს უფლება მისცა დაესახელებინა რამდენიმე მათგანი. ესენი არიან: უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფი ი. გიორგაძე და საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვ. ნადიბაიძე.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. კობახიძემ აღნიშნა, საქართველოს პარლამენტმა თავდაცვის მინისტრი რუსეთის არმიის ფორმაში ჩაცმული დაამტკიცა. (იფრინდა)

"ჩვენ თავად ვუფყოგთ ხელს სეპარატისტული რეჟიმის გადაწყვეტილებებს"

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, დღეს საპარლამენტო ფრაქცია "ეროვნულ-დემოკრატი"-ს წევრებმა მათ მიერ წარმოდგენილ "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით, რომლის განხილვაც 1-2 ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი, პრეს-კონფერენცია გამართეს.

როგორც პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, საქართველოს მთავრობას არ გააჩნია სტრატეგია იმის შესახებ, თუ როგორ დაიბრუნოს ოკუპირებული ტერიტორიები. აღნიშნული კანონის მეშვეობით განისაზღვრება იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებმაც უნდა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება. დაუყოვნებლივ უნდა განისაზღვროს ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი სტატუსი და მისი სუბიექტი, ასევე ამ ტერიტორიებზე მმართველი მთავრობების სტატუსი.

როგორც ფრაქცია "ეროვნულ-დემოკრატის" თავმჯდომარემ მ. გიორგაძემ აღნიშნა, საქართველო ბოლოს და ბოლოს უნდა გაერკვეს თავის სტრატეგიულ ინტერესებში და აიძულოს რუსეთი მისთვის მტკივნეული პოლიტიკური საკითხების გადაჭრის გზით საჭირო გადაწყვეტილებების მიღებაში. მისი თქმით, საქართველოს პრეზიდენტი და ხელისუფლება ცინიკურად უდგებიან პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის გ. კობახიძის თქმით, პარლამენტის მიერ 17 აპრილს მიღებული დადგენილება "აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების შესახებ" ჩაფიქრებული იყო არა როგორც ერთჯერადი აქტი, მას უნდა მოჰყოლოდა რიგი სამოქმედო გადაწყვეტილებები, რაც არ განხორციელდა. მისი აზრით, საქართველოს ყველა პრობლემა იმ შემთხვევაში გადაწყდება, თუ მისი ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება რუსეთის ჯარი - მესაზღვრეების ჩათვლით. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-11 კლასელებო, აბიტურიენტებო!

დღეიდან თვალი ადევნეთ გაზეთ „საქართველოს". მე-5 გვერდზე ყოველთვის დაიბეჭდება მასალა, რომელიც დიდად წაგადგებათ ცოდნის შევსებისთვის, გამოცდების უპრობლემოდ ჩაბარებისათვის... ვიწყებთ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის" განხილვას. ვფიქრობთ, ამ საპროგრამო რომანის ახლებურად გააზრების ცდას ფართო მკითხველიც მიადევნებს თვალს.

ახალი ამბები, ახალი ინფორმაციები საინფორმაციო სააგენტოები გვატყობინებენ:

ბლოკადა აფხაზეთში უნდა მოიხსნას – აცხადებს რუსი მინისტრი

რფ-ის დსთ-ის ქვეყნებთან თანამშრომლობის მინისტრი ამან ტულიევი, შეეხო რა ეკონომიკურ სანქციებს, რომელიც ტარდება აფხაზეთის რესპუბლიკაში, განაცხადა: „ბლოკადა აფხაზეთში უნდა მოიხსნას. კონფლიქტის დარეგულირება ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ხდებოდეს. ხომ არ გამოიწვევს აფხაზეთის შესვლა რუსეთის ფედერაციაში ახალ ომს? უნდა ვეძებოთ პრობლემის გადაწყვეტის სხვა გზები. ჩემი აზრით, ყველაზე მიღებული იქნება ურთიერთშეთანხმება რუსეთს, აფხაზეთსა და საქართველოს შორის“.

„ზუსტად ამ მთავრობამ უნდა მიხედოს მათ“

როგორც აფხაზეთის სეპარატისტული რადიო იუწყება, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი არ ცნობს აფხაზეთის პარლამენტში 23 ნოემბერს დანიშნულ არჩევნებს და.იგი ეცდება, ამავე შედეგს მიაღწიოს საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან. აფხაზეთის სეპარატისტული რადიოს თქმით, ი.მენაღარიშვილმა აღნიშნულ არჩევნებს უწოდა არალეგიტიმური, ვინაიდან დღეს-დღეობით აფხაზეთის მოსახლეობის ორი მესამედი ლტოლვილის სტატუსით იმყოფება. აფხაზეთის რადიო შემდეგ კომენტარს აკეთებს: „ჩვენ გვინდა შევახსენოთ ბატონ მინისტრ მენაღარიშვილს, რომ მოსახლეობის ამ ნაწილს ჰყავს თავისი მთავრობა საქართველოში (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა) და ზუსტად ამ მთავრობამ უნდა მიხედოს მათ“.

ი.მენაღარიშვილის წინადადება გაეროში

24 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი სიტყვით გაჩოვიდა გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე. მან მიმოიხილა საქართველოში მიმდინარე პროცესები, ისაუბრა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებაზე, საქართველოს სამშვიდობო ინიციატივებზე. გარდა ამისა, ი.მენაღარიშვილმა წინადადება შეიტანა, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებად მიიღონ იაპონია და გერმანია, რაც მისი თქმით, განამტკიცებს უშიშროების საბჭოს ავტორიტეტს და გახდება გარანტია მეორე მსოფლიო ომის ფსიქოლოგიური შედეგების დაძლევისა. თუ ეს წინადადება იქნება მ[illegible]ებული, მაშინ უშიშროების საბჭოში 5 მუდმივი წევრის ნაცვლად (რფ, აშშ, ჩინეთი, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი) 7 მუდმივ წევრს, იაპონიისა და გერმანიის ჩათვლით, ექნებათ ვეტოს უფლება.

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა რფ-ის სახელმწიფო სათათბიროს დელეგაცია

სააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის აპარატიდან აცნობეს, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა რფ-ის სახელმწიფო სათათბიროს დელეგაცია, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილის სერგეი ბაბურინის ხელმძღვანელობით. სერგეი ბაბურინი მოლაპარაკებას გამართავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან და კომიტეტების ხელმძღვანელებთან. ბაბურინი ითხოვს ნებართვას, რათა თბილისიდან გაემგზავროს სოხუმში და შეხვდეს ვლადისლავ არძინბას.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ადასტურებს

სააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან დაუდასტურეს, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აუკრძალა აფხაზეთის მცხოვრებლებს თურქეთის ტერიტორიაზე შესვლა სსრკ-ს დროს გაცემული ე.წ. საზღვარგარეთის პასპორტებით. ამიერიდან ყველას, ვისაც სურს აფხაზეთიდან ჩავიდეს თურქეთში, უნდა ჰქონდეს საქართველოს მიერ გაცემული საზღვარგარეთის პასპორტები. კომპეტენტურმა წყარომ საგარეო საქმეთა სამინისტროში სააგენტოს კორესპონდენტს აცნობა: „არსებობს საშიშროება იმისა, რომ აფხაზი სეპარატისტები ისარგებლებენ რუსეთსა და საქართველოს შორის 1994 წლის 3 თებერვალს ხელმოწერილი ხელშეკრულებით მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომლის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, საქართველოში და რუსეთში მცხოვრებ ადამიანებს შეუძლიათ თავისუფლად აირჩიონ რუსეთის ან საქართველოს მოქალაქეობა. ამ მუხლის გამოყენებით, აფხაზი სეპარატისტები მიიღებენ რუსეთის მოქალაქეობას და რუსეთის საზღვარგარეთის პასპორტებს, რის შემდეგაც თურქეთის ხელისუფლებას აღარ ექნება საფუძველი მათ უარი უთხრას თურქეთში შესვლაზე“.

ანრი ჯერგენიამ დაადასტურა აფხაზეთის მხარის პოზიცია

ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებზე, არძინბას სპეციალურმა წარმომადგენელმა ანრი ჯერგენიამ მოსკოვში კვლავ მიმდინარე არაოფიციალურ მოლაპარაკებებზე, დაადასტურა აფხაზეთის მხარის პოზიცია, რომლის თანახმად, 1994 წლის 4 აპრილს მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად, საქართველოსა და აფხაზეთს შორის ამჟამად არ არსებობს არავითარი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი კავშირი, ვინაიდან შეთანხმებაში ნათქვამია, რომ მხარეები მხოლოდ მომავალში შეეცდებიან აღადგინონ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი კავშირი.

მიმართვა დევნილებისადმი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და მინისტრთა საბჭომ ა.წ. 24 სექტემბერს აფხაზეთიდან დევნილებისა და აფხაზეთის მოსახლეობის სახელზე გაავრცელა მიმართვა, რომელშიც ნათქვამია:

„სისხლიანი ტირანია 3 წელიწადია მძვინვარებს აფხაზეთში. კრიმინალური ბანდებისა და უცხო ძალებით გამაგრებული სეპარატისტული რეჟიმი კვლავაც აგრძელებს ქართველთა და სხვა ეროვნების გენოციდსა და ხოცვა-ჟლეტას, აბუჩად იგდებს საერთაშორისო გაერთიანების, მსოფლიოში წამყვანი ქვეყნების ძალისხმევას, საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის კეთილ ნებას, რათა აფხაზეთის კონფლიქტი პოლიტიკური, ცივილიზებული და სამართლებრივი გზით მოწესრიგდეს.

ჩვენი ხალხებისათვის ამ უმძიმეს ჟამს მივმართავთ აფხაზეთის ყველა მცხოვრებს, რომ არ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტა. ამისათვის ჩვენ გვჭირდება გაერთიანება. ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ აფხაზეთისათვის დაღუპულთა ხსოვნას და აფხაზეთის ტრაგედიის მესამე წლისთავზე მივმართავთ საქართველოსა და სხვა ქვეყნებში მიმოფანტულ დევნილებს, რათა კვლავ გაუძლონ გაუსაძლისს საკუთარი მამულისათვის. მივმართავთ აფხაზეთში დარჩენილ და დაბრუნებულ მოსახლეობას, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ღრმა რწმენით, რომ დრო და ისტორია ღირსეულად შეაფასებენ მათ ჭირთათმენას.

გწამდეთ, რომ მალე აღსდგება ისტორიული სამართლიანობა, ასი ათასობით ტანჯული ხალხი დაუბრუნდება საკუთარ კერებს“.

სამშვიდობო პროცესი ღრმა ჩიხშია შესული

25 სექტემბერს საქართველოს პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს კანონპროექტი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაცია. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი კობახიძე და ვახტანგ ყოლბაია, საპარლამენტო ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატის“ თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი და დეპუტატთა ფართო ჯგუფი. კანონპროექტი პარლამენტს განსახილველად წარუდგინა ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატმა“ და განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს) სამართლებრივ მდგომარეობას.

როგორც გიორგი კობახიძე შეხვედრაზე აღნიშნა, დღევანდელ სიტუაციაში აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების საკითხში ამოსავალი წერტილი პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას მიერ გასულ კვირას პარლამენტის სხდომაზე გაკეთებული განცხადება უნდა გახდეს და პროცესიც ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს.

როგორც თამაზ ნადარეიშვილმა აფხაზეთთან დაკავშირებით განაცხადა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის საბოლოო პოზიციას 26 სექტემბერს უმაღლესი საბჭოს სესიაზე დააფიქსირებს. მან აღნიშნა, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების სამშვიდობო პროცესი დღეისათვის უკვე ღრმა ჩიხშია შესული. შეხვედრის დასასრულს გადაწყდა, რომ შემუშავდეს პრობლემის გადაწყვეტის ერთიანი მიდგომა.

თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა კავკასიის მუსულმანთა სამმართველოს თავმჯდომარე

27 სექტემბერს თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა კავკასიის მუსულმანთა სამმართველოს თავმჯდომარე შეიხ ულ ისლამ ალაჰშუქურ ფაშა ზადე.

ვიზიტის განმავლობაში კავკასიის მუსულმანთა სამმართველოს თავმჯდომარე ეწვევა ბათუმს, მარნეულის, გარდაბნის, დმანისისა და ბოლნისის რაიონებს, შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას.

ფრაქციათა შეხვედრა

25 სექტემბერს ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატი“ შეხვდა ფრაქცია „აფხაზეთისა“ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას. შეხვედრაზე განიხილეს კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომელთან დაკავშირებითაც მნიშვნელოვანი პრობლემები აფხაზეთის წარმომადგენლების მხრივ არ შექმნილა. შეხვედრაზე მოხდა სრული შეთანხმება და პოზიციათა შეჯერება.

რკინიგზის აღდგენა აფხაზებსაც ხელს აძლევს

როგორც აფხაზეთის სეპარატისტული რადიო იუწყება, ცოტა ხნის წინ ქალაქ სოჭში იხილებოდა საკითხი, რომელიც ეხებოდა სარკინიგზო მაუწყებლობის აღდგენას საქართველოსთან და სომხეთთან აფხაზეთის ტერიტორიის გავლით. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ტექნიკური თვალსაზრისით, ხაზის აღდგენა შესაძლებელია უახლოეს მომავალში. თუმცა, არსებობს საკითხის გადაწყვეტის პოლიტიკური პრობლემა. ერთ-ერთ ვარიანტად იხილებოდა სარკინიგზო, დემილიტარიზებული დერეფნის შექმნა, რომლის დაცვასაც თავის თავზე აიღებდა აფხაზეთში განლაგებული სამშვიდობო ძალები.

იბერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველო" მაქართველო არ ვიცი მე" – ყვირის მოსამართლე და მხარს უბამს განსასჯელ «მხედრიონელებს»

24 სექტემბერს უზენაესი სასამართლოს შენობაში კახეთის მხედრიონის, ე.წ. „მაჭახელას" სასამართლო პროცესი განახლდა. შეგახსენებთ, რომ პროცესი ღია წესით ტარდება და მასზე დასწრება არათუ პრესის წარმომადგენელს, არამედ ნებისმიერ მოქალაქესაც კი შეუძლია. მით უფრო უცნაური იყო შენობის ფოიეში მოდარაჯე დაცვის ერთი თანამშრომლის რეპლიკა ჩემს მიმართ, რომ მას თურმე ჩემი გაჩხრეკის უფლებაც კი აქვს, და რადგან ჩამწერი საშუალება აღმომაჩნდა, იგი დროებით მისთვის უნდა დამეტოვებინა. ასე იყო თუ ისე, ბოლოსდაბოლოს დიქტოფონის დამძევლების გარეშე აღმოვჩნდი სასამართლოს დარბაზში. პროცესი ის–ის იყო დაწყებულიყო. საუბრობდა მოწმე – კახეთის რეგიონის მილიციის სამმართველოს უფროსი. ჩვეულებისამებრ დიქტოფონი მოვიმარჯვე. აქვე მოსამართლის „სასახელოდ" უნდა ითქვას, რომ დარბაზში „შესაშური" „წესრიგი" სუფევდა: ბრალდებულები მუქარით, დედის გინებით და ფურთხებით შეურაცხყოფდნენ მოწმეს, ბატონი მოსამართლე კი რატომღაც ჯერ ბოლომდე ისმენდა ამ ლანძღვა–გინებას, მერე კი მშვიდად აღნიშნავდა, რომ დარბაზში ქალები სხედან და გინება უხერხულია, თუმცა არაფერს ამბობდა შეურაცხყოფილ სამმართველოს უფროსზე. ისიც, როგორც დარბაზიდან აღნიშნეს, „მაგრად იდგა" და „თქვენისთანებისთვის მომიგრეხია კისერიო", თავისთვის ბურტყუნებდა. ამასობაში ერთმა გინებაში აქტიურმა ბრალდებულმა ჩემი დიქტოფონიანი ხელი შენიშნა, თვალები დაახამხამა, ემანდ ხომ არ მეჩვენებაო და იყვირა: რა გიჭირამს, ე. იწერ, ჩემ ლაპარაკ იწერ, მაიტა კასეტა, უნდა დავამტვრიო, ხედავ, რა უჭირამს?! – გისოსებში რომ არ მჯდარიყო, ჩემი დიქტოფონისგან „სველი ადგილიღა" დარჩებოდა. „ვისა, კაცო!" – ფეხზე წამოდგა მოსამართლე. ბრალდებულმა ჩემსკენ გამოიშვირა თითი და გინებადართული მუქარაც მოაყოლა. მე საჭიროდ ჩავთვალე, ფეხზე წამომდგარიყავი და მოსამართლისთვის განმემარტა ვინ ვიყავი და რა მინდოდა. „მერე ვინ შემოგიშვა, რა გინდა აქა" – ისე გაიკვირვა ბატონმა მოსამართლემ, თითქოს მის წინაშე „ინტელიჯენს სერვისის" აგენტი მდგარიყოს – „საქართველო", „მაქართველო" არ ვიცი მე, გადი ახლავე აქედან!" – იყვირა და კოდექსებითა და დოკუმენტებით მიმოფენილ მაგიდაზე გაშლილი ხელი დააბარტყუნა. ჩემი ყველანაირი მცდელობა, განმემარტა, რომ მას კორესპონდენტის გაძევების უფლება არა აქვს და ვალდებულია თავაზიანი იყოს და ა.შ. ამაო აღმოჩნდა, ერთგულად შეუერთდა ბრალდებულების როხროხს. ამასობაში დაცვის თანამშრომელიც მომადგა და გამჭოლი მზერით მიმახვედრა, რომ დარბაზი უნდა დამეტოვებინა. ცოტა ხანიც და მკლავში ხელს წამავლებდნენ. კარებში გამოსვლისას „დაცვას" მოსამართლის გვარი ვკითხე: „არ ვიცი". მკაცრად გამისაიდუმლოვა მან. თქვენ რა გვარი ხართ, ასეთ პასუხს რომ იძლევით? არ ვიცი!!! – თვალები დამიბრიალა და კარი ცხვირწინ მომიკეტა. უკან სხვა „დამცველი" გამომეკიდა. არც მან მითხრა მოსამართლის გვარი, თითქოს საიდუმლო ყოფილიყოს და ყოველდღე ცხრა გაზეთი არ ბეჭდავდეს მოსამართლე ლერი საყვარელიძის მიერ პროცესზე წარმოთქმულ ყოველ წინადადებას ფოტომასალითურთ.

მოკლედ, მხედრიონელებმა და მოსამართლემ ერთმანეთს „მაგრად გაუგეს". მე კი ვერაფრით გავარკვიე, რატომ დადის ბატონი ლერი ბრალდებულების ჭკუაზე, და საერთოდ, იცის თუ არა, რისი უფლება აქვს და რისი არა?..

ლელა კოდალაშვილი,
გაზეთ „საქართველოს"
კორესპონდენტი

მოსამართლისაგან შეურაცხყოფილი გაზეთის რედაქტორის მინაწერი:

ბატონო ლერი, მინდა მოგახსენოთ, რომ ჩემი კორესპონდენტისა და თვით გაზეთის შეურაცხყოფა, ჩემი შეურაცხყოფაც არის.

ამას ავიტანდი, მაგრამ კაცი „საქართველო–მაქართველოო"–რომ იყვირებს, ვფიქრობ, მისი საქმე მთლად კარგად ველარ არის.

„მა", სხვათაშორის, ბრუნვის ნიშანია და სახელს ბოლოში დაერთვის, არა თავში.

როგორც ჩანს, თავის „ზრდილობიან" განსასჯელებთან ყოველდღიურმა ურთიერთობამ მოსამართლე ლერი საყვარელიძეს თავი და ბოლო აურია, ანუ რაც თავში ჰქონდა, ბოლოში გაქცევია, რაც ბოლოში ეგულებოდა, თავში ასვლია.

ვინც საქართველოს უხერხულ „ბრუნვაში" ხმარობს, იგი ღირსია სწორედ მისი სახელი და გვარი იხსენიებოდეს მსგავს კონტექსტში.

ვინაიდან ხელმწიფისტოლა თანამდებობის კაცს, უზენაეს მოსამართლეს ბრუნება მთლად კარგად არ ცოდნია, შემიძლია ცოტა წავავარჯიშო ამ საქმეში.

მაგალითად, ჩემს კორესპონდენტს რომ ეპასუხა თქვენთვის, ბატონო ლერი, საყვარელიძე–მაყვარელიძე არ ვიცი–მეო, ამით გრამატიკის ნორმების უცოდინარობასაც გაამჟღავნებდა და უზრდელობასაც.

წესიერების ფარგლებში კი თქვენი გვარი და სახელი მხოლოდ ასე იბრუნვის:

ლერი საყვარელიძე
ლერი საყვარელიძემ
ლერი საყვარელიძეს
ლერი საყვარელიძის...

იმედია, ამ სამ წერტილში იგულისხმებთ იმას, რომ ბრუნვები კიდევ გრძელდება ვიდრე წოდებითამდე და არა იმას, რაც თქვენი განსასჯელებისაგან თქვენი გვარის ნათესაობით ბრუნვაში ხსენებას მოჰყვება ხოლმე...

სასამართლომ დაადგინა თენგიზ სიგუას გამოსახლება (?)

არა, თ.სიგუა ჯერჯერობით საკუთარი ბინიდან არ გამოუსახლებიათ, სასამართლო მისგან რუსთაველის საზოგადოების შენობის დატოვებას მოითხოვს.

ალბათ ჩვენს მკითხველს ახსოვს გახმაურებული დავა, ორი რუსთაველის საზოგადოების გარშემო ამტყდარი.

დავა იმით დასრულდა, რომ სასამართლომ ისტორიის ფურცლებზე დასაგვირისტებელი კურიოზული განაჩენი გამოიტანა.

შენობაში დარჩეს „უკანონო" (მოგეხსენებათ, ასე ჰქვია ახლა ძველ რუსთაველის საზოგადოებას, კანონიერად კი ახლადშექმნილი მოიხსენიება, რომელსაც „ძველები" „ფატმანის საზოგადოებასაც" უწოდებენ) საზოგადოება, ოღონდ მისი თავმჯდომარე თ.სიგუა იქნას იქიდან გამოსახლებულიო.

ამით კი ფარდა აეხადა მთელი ამ ბრძოლების ნამდვილ მიზეზსა და მიზანს (კი მაგრამ სიგუას აპარატი კანონიერი გახდება მისი გამოსახლების შემდეგ?)

ამ კურიოზულ განაჩენთან დაკავშირებით თ.სიგუამ შემდეგი წერილი გაუგზავნა სასამართლოს:

ქ.თბილისის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა საკასაციო კოლეგიას რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის თენგიზ სიგუას საკასაციო განცხადება

ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლომ (მოსამართლე ვ.თალაკვაძე) 1996 წლის 28 აგვისტოს სხდომაზე განიხილა საქმე №2/456 და დააკმაყოფილა რუსთაველის „ახალი საზოგადოების" პრეზიდენტის სარჩელი, ჩემი რუსთაველის საზოგადოების შენობიდან გამოსახლების შესახებ.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება აშკარად უკანონოა და ექვემდებარება გაუქმებას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ რუსთაველის არსებული საზოგადოება საქართველოს მთავრობის №299 დადგენილებით არის რეგისტრირებული (ეს სიტყვასიტყვით არის ჩაწერილი სასამართლოს გადაწყვეტილებაში), ე.ი. ხანამ მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია, არავის, მათ შორის არც იუსტიციის სამინისტროს და არც მის დაქვემდებარებულ სასამართლოებს არა აქვთ უფლება გაუქმებულად გამოაცხადონ 9 წლის განმავლობაში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც ქვეყნისათვის არსებითი მნიშვნელობის მრავალი ღონისძიება აქვს ჩატარებული და დღემდე, როგორც იურიდიული პირი, ეწევა ნაყოფიერ საქმიანობას. პარლამენტის კანონიერების, საკონსტიტუციო და იურიდიული კომიტეტის და ეთიკის კომიტეტის მიერ „ახალი ორგანიზაცია" მიჩნეულია უკანონოდ და ზნეობრივად გაუმართლებლად. ამ საკითხზე ჩვენს მიერ შეტანილი საჩივარი ამჟამად იხილება საქალაქო სასამართლოში. პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ ზ.ჟვანიას მიერ დასმულია საკითხი, რომ რუსთაველის საზოგადოების გარშემო ხელოვნურად შექმნილი იურიდიული პრობლემები განიხილოს პირველი ინსტანციით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. ასეთ პირობებში, მთაწმინდის სასამართლოს მიერ რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის საზოგადოების კუთვნილი შენობიდან გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და უკანონოა.

ამასთან, ვინაიდან, მოსამართლე ვ.თალაკვაძეს წინასწარ ჰქონდა გამოთქმული საზოგადოების წევრებთან აზრი იმის შესახებ, რომ „დავალება მაქვს და თ.სიგუა აუცილებლად უნდა გამოვასახლოო", ჩვენ დავაყენეთ მისი აცილების საკითხი, რის შემდეგაც ის თვითონვე აღნიშნავს გადაწყვეტილებაში. ვინაიდან ეს განცხადება მან მიიღო, მას უნდა ემსჯელა აუცილებლად აცილების საკითხზე და აეცილებინა საქმე. განცხადება რომ სხდომის დამთავრების შემდეგ ყოფილიყო შეტანილი, რა თქმა უნდა, მოსამართლე ამ საკითხს გადაწყვეტილებაში ვერ ასახავდა. სასამართლომ ალბათ იცის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში შეიძლება აისახოს მხოლოდ საქმესთან დაკავშირებული ის გარემოებები, რომლებიც სხდომის განმავლობაში იყო განხილული. აქედან გამომდინარე, ვინაიდან გადაწყვეტილებაში აცილების განცხადებაზე არის მსჯელობა, თავისთავად ის სხდომის განმავლობაში ყოფილა შეტანილი და არა სხდომის შემდეგ.

სასამართლო ალბათ ობიექტურად ჩატარდებოდა, რომ ჩემი დასწრების გარეშე არ განეხილათ საქმე. მიმაჩნია, რომ ამის უფლება სასამართლოს არ ჰქონდა, ასეთი გადაწყვეტილება სერიოზულ საქმეზე მოპასუხის გარეშე გამოეტანა. რაც შეეხება არსებითად ჩემს პიროვნულ გამოსახლებას (საზოგადოების სხვა წევრებს გადაწყვეტილებით არაფერს ერჩიან) ეს შეიძლება ჩაითვალოს იურიდიული აბსურდის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად, ვინაიდან მე გახლავართ საზოგადოების ყრილობის მიერ კანონის სრული დაცვით არჩეული საზოგადოების თავმჯდომარე (და არა პრეზიდენტი, როგორც გადაწყვეტილებაშია) რომელიც მუშაობს გამგეობასთან და სანიმუშო აპარატთან ერთად. რომელი იურიდიული ნორმებით ისარგებლა სასამართლომ, როდესაც ჩემი პიროვნული გამოსახლების საკითხი გადაწყვიტა. ჩემთვის ხომ არავის მოუმართავს შენობის გათავისუფლების შესახებ? რას ეყრდნობა მოსამართლე, როდესაც უაპელაციოდ აცხადებს გადაწყვეტილებაში, რომ „თ.სიგუა უარს აცხადებს საზოგადოების კუთვნილი შენობის დატოვებაზეო". მხოლოდ მოსარჩლის შიშველ განცხადებას, რომელიც სასამართლოს არანაირად არ შეუმოწმებია. თანაც ამ სასამართლო განცხადებით მოსარჩელე მოითხოვს მხოლოდ „ზომების მიღებას" და არა გამოსახლებას. გამოდის, რომ სასამართლომ თავისი ინიციატივით მიიღო ჩემი გამოსახლების გადაწყვეტილება, რაც აშკარად არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნილებიდან.

გამომდინარე აღნიშნულიდან

გთხოვთ:

გააუქმოთ მთაწმინდის რაიონის სასამართლოს (სხდომის თავმჯდომარე ვ.თალაკვაძე) 1996 წლის 23 აგვისტოს №2/456 გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნოთ მთაწმინდის რაიონის სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განმცხადებელი თ.სიგუა

დაგვერვაში უფრო ნაკლებია საიდუმლოებები, ვიდრე სიყვარულში

მოყვარემულომი გარემმო ვერგოვის ამჩნევენ, და, რა თქმა უნდა, ვერ მენიმნეს კაცი, რომლიც მათ წინ იჯდა. იგი კი ინტერესით აკვირდებოდა, როგორ უცინოდნენ ისინი ერთმანეთს და ამ სიფაციამ მასში ძვირფასი მოგონებები გააღვიძა, დარდი და ხუჭვილი სიცოცხლისა. ძალზე დიდი ხანი იყო ხსვა ხალმეორით დაკავშულო, ნახევარი ხაუკუნე მან ინგლისში და დანიაში სამყოთა დაზვერვაში გაატარა. მომდგ გადადგა და ოფიციალურულ ხალმიანობას მიჰყო ხელი, დადგა ფრი პიესა, ფეხმოდა თავისუფლებით და უყვარდა ქალი, რომლისაც ითამამა ოდესღაც გადამწყვეტი როლი მის ცხოვრებაში. რამდენადაც არ უნდა გაეიზიანებინა ზოგიერთ პოლიტიკურ მოვლენას, იგი მაინც იმეორებდა: ადამიანი არასოდეს კარგავს სიყვარულის უნარს, ეს უნარი არ ემორჩილება დროს და გარემოს. იმიტომ, რომ არ არსებობს სიცოცხლე სიყვარულის გარეშე.

ჩემი მოსაუბრე – მიხაილ პეტრეს ძე ლიუმიმოვი ყოფილი მზვერავი, ახლა ლიტერატორი.

მზვერავმა ქალმა თავისი ქმარი – ერთ-ერთი უცხოური ქვეყნის დიპლომატი. იგი შემდგომ, წლების განმავლობაში გადასცემდა ამ ქალს საიდუმლო დოკუმენტებს. ამ ქალმა ორდენიც კი მიიღო ამის გამო. მას ფანატიურად სწამდა კომუნიზმისა. მისი ქმარი კი ყოველ წუთს შეეძლოთ დაეხვრიტათ. აღმოსავლეთ გერმანიის დაზვერვამ სახელი გაითქვა იმით, რომ მისი თანამშრომლები ჩადიოდნენ ბონში, იცნობდნენ მინისტრთა მდივნებს, უახლოვდებოდნენ მათ, ზოგჯერ ხელს აწერდნენ და ბავშვებსაც კი აჩენდნენ მათთან. ცხოვრებისათვის ფული იყო საჭირო, ქმარი „მიუგდებდა" „იდეას" ცოლს, გაეგო ახალი სამხედრო შეკვეთების შესახებ და უხსნიდა, რომ ამ ინფორმაციისათვის „ვიღაცა" კარგად გადაუხდიდა მათ. ცოლი ცოტა ფიქრის შემდეგ ბრუნდებოდა სახლში ძვირფასი ინფორმაციით. მას ხომ მეუღლე უყვარდა.

– ე.ი. ყოველივე ეს დაზვერვაში ნორმალურად ითვლება – გამოიყენო ქალი შენი მიზნებისათვის?

– არა მხოლოდ ეს, ქალიც იყენებს კაცს.

– ასეთ სამუშაოს განსაკუთრებული ნიჭი, ხასიათი, შეუვალობა სჭირდება.

– მე ვფიქრობ, უფრო სინაზე, გაიძვერობაა საჭირო. ეს თვისებები ხომ ქალების უმრავლესობას აქვს. ქალს საერთოდ უფრო ძალუძს თვალთმაქცობა.

– ნუთუ ასეთი ქალები მოგწონთ?

– რატომაც არა? როცა გიყვარს, უარყოფით მხარეებს ვერ ამჩნევ... შეიძლება ქალის ეშმაკობაა ეს... რატომ მოგწონს ქალი? რატომ გიყვარს? ეს მისტიკაა. მაგალითად, ფრიდა კალო – მექსიკელი მხატვრის ცოლი, ტროცკის საყვარელი იყო. მან პოლიომელიტი გადაიტანა. ფეხები ასანთის ღერებივით ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი უგონოდ უყვარდა დიეგო რივერას და ტროცკი მისი გულისთვის ლამის ცოლს გაეყარა. მოგვიანებით იგი პარიზში წავიდა. მის ფეხებთან თავად პიკასო იგი განრთხმული. ულამაზესი, უჭკვიანესი ინვალიდი ქალი. ასე რომ, ეს სუფთა ირაციონალური საკითხია: რა მოგწონს ქალში. მე შევხვედრივარ ბევრ ჭკვიან ქალს. არ არის განზოგადებული სახება ქალისა და განზოგადება სიყვარულისა არ შეიძლება. რამდენგვარი ადამიანია, იმდენგვარი სიყვარულია.

– თვლით თუ არა – თქვენ ოავს ბევრმოდენარად სიყვარულთან დაკავშირებული ბედნიერება?

– არა, მე არ ვარ ბედნიერი, ოღონდ ეს სთვის, რომ „რაზეზენჯერმე ვარ ვარ" დაქორწინებული. ვთვლი, რომ ერთფეროვანი ცხოვრების რიტმი ეწინააღმდეგება სიყვარულს. ადრე მქონდა თეორია, რომ ოჯახი მხოლოდ შვიდი წლის მანძილზე არსებობს, შემდეგ ირღვევა. ყველაფერი უბრალოდაა. არის სიყვარული ან არ არის. უბრალოდ, სიყვარულია სხვადასხვაგვარი.

– თქვენ შეგიძლიათ ქუჩაში გაეცნოთ ქალს?

– თუ საჭიროა შემიძლია.

– ვისთვისაა საჭირო?

– სამუშაოსათვის ამ სახით ხშირად გამიცვნია ქალი. ქუჩაში გაცნობა წარმატებას არ ითვალისწინებს. სასოწარკვეთილებაში მყოფი, როცა მცირე კონტაქტები მქონდა, დავდიოდი სანტ-ჟერმენ-პარკში და ვცდილობდი გამეცნო ქალები, იმ იმედით, რომ რომელიმე მათგანი საგარეო საქმეთა მინისტრის მდივანი აღმოჩნდებოდა, რადგან მათი ოფისი ახლოს იყო ამ პარკთან. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მიუღებელია, ეს ცუდი ტონის მაჩვენებელია. მეც გავოცდებოდი, რომ მოსულიყო ვინმე ჩემთან და ჩემი „შებმა" დაეწყო.

– რა ვქნათ, თუ ეს აუცილებელია?

– მოიფიქრეთ რაიმე კომბინაცია. მახსოვს ჩემთვის აუცილებელი იყო ორი ქალის გაცნობა საელჩოდან. ისინი რესტორანში ისხდნენ მამაკაცებთან ერთად, რომელთაგან ერთ-ერთი ჩვენი აგენტი იყო. შევედი, დაბნეულად მიმოვიხედე. ამ დროს დამიძახეს „მაიკლ, მაიკლ". ასე მოვხვდი მათ მაგიდასთან. ვიცი შემთხვევა, როდესაც მზვერავი ქუჩაში შეხვედრ ქალს გაეცნო ასე რამოდენიმეჯერ ქოლგა დაუვარდა, ქალმა გაიცინა და ძალზე ბუნებრივად გაიცნო. იდიოტიზმია, მაგრამ ფაქტია.

– თქვენ წინასწარ იგონებდით სიტუაციებს, რომ შემდგომში გამოგეყენებინათ ქალებთან გასაცნობად?

– როცა სამოცდაორი წლისა ხარ, სასაცილოა სიტუაციები მოიგონო.

– თქვენ დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდით საზღვარგარეთ, როგორ მოახერხეთ ის, რომ უცხოელი ქალი არ შეგიყვარდათ?

– მე არასოდეს არ მომწონდა უცხოელი ქალები. რუსი ქალები უფრო ლამაზებიც არიან და უფრო სასიამოვნონი ყველა კუთხით. ამასთან დაზვერვაში უცხოელებთან კონტაქტი სახიფათოა. ხშირი იყო შემთხვევები, როცა მზვერავი ქალს იცნობდა და ქალი მზვერავი აღმოჩნდა.

– დაზვერვაში ინსტრუქციები იყო ამის თაობაზე?

– ჩვენ ყოველთვის გვქონდა მორალური კოდექსი, სადაც ნათქვამი იყო: არავითარი ინტიმური კავშირები.

– ე.ი. ქალი მხოლოდ იარაღია?

– იარაღიცაა და მსხვერპლიც, ისევე როგორც კაცი.

– მამაკაცი დაზვერვაში უფრო ცივი გონებით მუშაობს, უფრო დაპროგრამირებულია.

– არიან ასეთებიც, ისეთებიც. მაგრამ არსებობს თამაშის წესები. ადრე უშიშროებაში ერთი განქორწინება არ იგმობოდა. როდესაც მეორედ გავშორდი ცოლს, მომიწია დაზვერვიდან წასვლა, იმიტომ, რომ თამაშის წესები დავარღვევ.

– სიყვარულისთვის ცხოვრების წესი დაარღვიეთ?

– ასე არ არის, მე მაშინ უკვე გადწყვეტილ მქონდა დაზვერვიდან წასვლა.

– ღღევანდელ სიტუაციაში, ამ პრობლემებში ხომ არ დაკარგავს ადამიანი სიყვარულის უნარს?

– სიყვარული არასოდეს არ განისაზღვრება სიტუაციით. მართლაც საოცარი თვალები ჰქონდა იმ გოგონას მატარებელში! ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე მზად ვიყავი მასთან სექსუალური ურთიერთობისთვის, ისე, უარს არ ვიტყოდი!

ლარისა ბოგდანოვა
„არგუმენტი ი ფაქტი"

ისლამური ქვეყნები და ქალი

მალაზია, ისლამურ ქვეყნებში, ქალთა უფლებების თვალსაზრისით, ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. ის თანდათანობით იკილებს შარიათის კანონებს (შარიათი – მაჰმადიანთა იურიდიული და რელიგიური ნორმები, ჩამოყალიბებული და ყოფითობაში გატარებული ყურანის საფუძველზე. განმარტებითი ლექსიკონი) და თანამედროვე ნორმებს ატარებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ქალთა უფლებების საკითხი აქ 1945 წლიდან დაისვა. Ybu Umnu ანუ ეროვნული ერთიანობის ორგანიზაციაში, შემდეგ კი Johor-ში ანუ სახელმწიფო საბჭოში, ქალებმა დაიკავეს ადგილები. 1952 წელს ეგვიპტეში ეზჰერის (Ezher) ულემამ (ღვთისმსახურებამ), როდესაც ფეტვა გასცა ანუ მიიღო გადაწყვეტილება, რომ „ქალები ვერ იქნებიან პარლამენტის წევრები", მალაზიაშიაც იჩინა თავი ამ ფეტვის შედეგებმა; ქალებს კი ბრძოლა არ მიუტოვებიათ. 1947 წელს ეროვნული ერთიანობის ორგანიზაციაში წევრი ქალების რიცხვი თუ რამოდენიმე იყო, 1974 წელს ქალთა რიცხვმა იქ 180 ათასს მიაღწია. მალაზიაში, ამჟამად, ქალები უფლებამოსილნი არიან იყვნენ როგორც ამომრჩევლნი, ასევე ამორჩეულნი. არიან მინისტრი ქალებიც. ის კი არა და, შერიფე მაჰმუდი 80-იანი წლების ბოლოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტამდე ამაღლდა. ქალი და მამაკაცი ქვეყანაში თანასწორუფლებიან მოქალაქეებად მიიჩნევიან; ქალები შრომით ცხოვრებაშიც მამაკაცებს უტოლდებიან. შრომით დასაქმებული საზოგადოების ნახევარი ქალია. საკითხები მამაკაცების ინტერესებს თუ არ ეხება, შარიათის კანონებითაც კი მოხსნილია, მოხსნილია ისე, რომ იგი ცხოვრებაში პრაქტიკულად აღარ ტარდება. მაგრამ ისეთი საკითხები, როგორიცაა მემკვიდრეობა და ქორწინება,იქ, სადაც მამაკაცის ინტერესებთან შეხება ხდება, შარიათის კანონები ფრიად ძალაშია.

მალაზიაში გოგონები მემკვიდრეობას ვერ ღებულობენ. იმ ოჯახებში, სადაც ვაჟი არა ჰყავთ, მემკვიდრეობა რჩება ოჯახის უფროსის (მამის) ძმას. ასე რომ, შარიათის კანონები კვლავ დღის წესრიგში დგას; ქალები კი ამ საკითხშიც ბრძოლას არ წყვეტენ.

ასეთია მალაზიაში ქალთა მდგომარეობა; ახლა მოკლედ გადავხედოთ სხვა ისლამურ ქვეყნებს.

საუდის არაბეთი

ქალი მარტო ქუჩაში ვერ გაივლის, სამოგზაუროდ მარტო ვერ წავა; თუ მას გვერდით მაჰრემი ჰყავს (მაჰრემი – ქმარი ან ახლო ნათესავი მამაკაცი, რომელთანაც მისი ქორწინება გამორიცხულია), ან მაჰრემის წერილობითი ნებართვა გააჩნია, იმ შემთხვევაში შეუძლია მარტოდ სიარული.

გოგონებს შვიდი წლიდან უკვე ეკრძალებათ მამაკაცთა წრეში ყოფნა. გოგო რომ მოწიფულობის ასაკში შედის, თავსაბურავი უნდა მოიხვიოს; მანქანის ტარების უფლება არა აქვს, მშობლიურ სკოლებშიაც კი აკრძალულია შერეული (ვაჟებთან ერთად) სწავლა.

ერთ კაცს ოთხ ქალთან შეუძლია ქორწინება.

ირანი

ირანში ქალებს სწავლაცა და მუშაობაც შეუძლიათ, მაგრამ რადგანაც ისლამის კანონები აქ მოქმედებაშია, ორი ქალის მოწმედ დადგომა ერთი კაცისას უდრის. ის კი არა და, დანაშაულებათა პროცესებზე ქალის მოწმედ გამოსვლას მხედველობაში არ იღებენ. ქალებს, რომლებიც გარყვნილებას ეწევიან, სპობენ...

მოკლული ქალის სისხლში გადასახადი თანხა მოკლული მამაკაცის გადასახადის ნახევარია. სისხლში გადასახადი კი ამას ჰქვია: ირანში, მოკლული კაცის ოჯახს უფლება აქვს მკვლელი მოკლას. მკვლელის ახლობლები, მისი სიცოცხლის გადასარჩენად, ფულად სამაგიეროს უხდიან მოკლულის ოჯახს. თუ მკვლელი ქალია, მაშინ ეს გადასახადი მამაკაცის გადასახადის ნახევარია.

ავღანეთი

უჩადროდ ქალების გარეთ სიარული აკრძალულია. 1992 წელს, როდესაც ქვეყნის სათავეში ისლამური მთავრობა მოვიდა, ქალებს, რომლებიც ქვედატანის, წინდებისა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით გამორნდებოდნენ, ზედ ქერქაფს (მაკავს) ასხამდნენ; შედეგად, მრავალი ქალი დასახიჩრებულ-გაუბედურებული დარჩა. არჩევნისა და, საერთოდ, არჩევნებზე მონაწილეობის უფლება მათ არა აქვთ, სამსახური ეკრძალებათ. ქალებისათვის ყურანის საკითხავად სწავლება ნებადართულია, მაგრამ „ვაითუ, მათ, მამაკაცებს საშიკო წერილი მისწერონ"-ო, აი, ამ მოტივით მათთვის წერის სწავლება იკრძალება. ამასთან ერთად, ქალთათვის ყველა სხვა (ნებისმიერ დარგში) განათლების მიღება კანონგარეშეა გამოცხადებული.

ქუჩაში ქალი და მამაკაცი ვერ დაილაპარაკებს. ქალებისთვის პარფიუმერია და სახის გრიმირება ხომ აკრძალულია და აკრძალული.

ალჟირი

ალჟირში შარიათის კანონები არ მოქმედებენ, მაგრამ იმის გამო, რომ ისლამური კეთილდღეობის პარტიამ (FIS) 1991 წელს ხმათა უმრავლესობა მიიღო და რომ შეიარაღებულ ძალებში არჩევნების მეორე ტური ანულირებულ იქნა, ქვეყანაში შიდა ომი ატყდა. მისი შედეგები ქალებმა იწვნიეს. იქიდან მოყოლებული 10000 ქალი იქნა მოკლული. განსაკუთრებულად მოქმედებდნენ „ცალკეული დაჯგუფებები; ისინი მკაცრად აფრთხილებდნენ ქალებს, რომლებსაც მოკლესახელოებიანი კაბები ან ჯინსის შარვლები ეცვათ. მესამე და მეოთხე გაფრთხილების შემდეგ, თუ ქალი კვლავ ჯიუტად განაგრძობდა იმ ჩაცმულობის ტარებას, სიკვდილით სჯიდნენ მას, თავის მოკვეთის წესით.

ასეთი ვითარება კვლავ გრძელდება. ისლამის კეთილდღეობის პარტიისაგან (FIS) დაშინებულები, ცხოვრება ბევრ სფეროში სხვა ისლამური ქვეყნების წესებისამებრ მიედინება.

ქალები ხლვაში ვერ შედიან. ქალი და მამაკაცი მგზავრობისას სხვადასხვა ავტობუსში სხდებიან. დიდი სასტუმროების შემოგარენშიც კი სასმელებს ვერა ჰყიდიან.

ძალგატონი ზელიჰა მიდილლი
თურქი კუგლიციასტი.
თურქული გაზეთი Milliytt-ი, 24. VIII. 96 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-11 კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“

განხილვა

ნოდარ გრიგალაშვილი

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №44

„დიდოსტატის მარჯვენის“ ფაბულა

„სვეტიცხოვლის ჩრდილოის კედელზე ერთი წარწერაა და ქანდაკი ორი კაცისა. შენის თვალისა და მარჯვენის საქმე იქნება ეს, თუ როგორ ამოიკითხავ ცხრა საუკუნის მანძილზე ქვაში ჩაკრულ საიდუმლოს დღემდის შეუცნობს“ – ეუბნება მოხუცი ექვთიმე შელამებისას სტუმრადწვეულ მწერალს. არ აქვს მნიშვნელობა, ეს დიალოგი სინამდვილეში მოხდა თუ მწერლის ფანტაზიის ნაყოფია. მთავარი ის გახლავთ, რომ იმ საოცრად ცოცხალ სიუჟეტებს, იმ თითქოსდა ეჭვმიუტანლად ნამდვილ ისტორიას, მწერალმა რომ შემოგვთავაზა, საფუძვლად დაედო ტაძრის ფასადზე ნაქანდაკევი მარჯვენის სურათი, რომელსაც გონიო უპყრია ხელთ და აქვს წარწერა: „ხელი მონისა არ საკიცხისი, რათა შეუნდოთ“, ამასთან ლეგენდა სვეტიცხოვლის ამშენებლის შესახებ შემორჩენილი –

„ხეკორძულას წყალი მისვამს
მცხეთა ისე ამიგია.
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს.
რატომ კარგი აგიგია“.

სულ ეს არის,რაც ისტორიის მეხსიერებას შემორჩენოდა სვეტიცხოვლის ხელთუქმნელი ტაძრის ამშენებელზე, რომლის სახება 9 საუკუნის შემდეგ სიტყვის მაგით გააცოცხლა მწერალმა, როგორც უკვდავების ბალახით ყამარმა ამირანი.

ახლა რომანში აღწერილი სისხლსავსე და ფათერაკიანი ცხოვრება წარმოიდგინეთ გიორგი მეფისა.

გული დაგწყდებათ, როცა შეიტყობთ, რომ სინამდვილეში გიორგი პირველის შესახებ „მატიანე ქართლისა“ მხოლოდ ორიოდე ფურცელზე მოგვითხრობს.

ჩვენი ერის წარსულის განმჩხრეკელი არ შეიძლება არ შეწუხდეს იმ აურაცხელი „უსახელო უფლისციხელის“ ბედის გამო, რომელთაგან თითოეულის ცხოვრებაზე გმირობის უკვდავი საგა შეიქმნებოდა და მათი სახელებიც კი არ შემორჩა ისტორიას.

მართალია, ილიას თქმისა არ იყოს, „მატიანე ქართლისა“ სინამდვილეში მეფეთა მატიანეა, მაგრამ პირობითად რომ ვთქვათ, უსახელო უფლისციხელები ჩვენ მეფეთა შორისაც გვყავს. აქ არ ვსაუბრობ ამგვარ მეფეებზე, რომელთა ცხოვრების აღწერაში ღირშესანიშნავს ვერაფერს ხედავს მემატიანე და, ვთქვათ, ასეთი ანეკდოტური ფრაზით ავსებს მათ გვერდს – „დაჯდა ბაკურ და მოკვდა ბაკურ“. აქ ის მეფეები გულისხმებიან, რომელთა შესახებ ჩვენამდე მოღწეული მცირე ჩანაწერებიც გვაგრძნობინებს, რა მონუმენტური ფიგურები გაუმეტებია ისტორიას დავიწყების მორევისათვის.

„არა დიდ იყო აქილევსი, დიდსა მეამბოხეა მაქებელსა“–ო. ქართველი მემატიანის ეს სიტყვები არა მხოლოდ ჰომეროსის წინაშე თავმოდრეკის გამოხატულებაა, არამედ ამის დასტურიც გახლავთ, რომ ჩვენი ისტორიენი, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ვალში ერთან ამ ისტორიის შემქმნელ მრავალ გმირთან.

ერთი ასეთი გმირთაგანი გახლდათ „მეორმოცდათორმეტე მეფე გიორგი, ძე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა, ბაგრატოანი“ რომელსაც მემატიანე ასე ახასიათებს: „ახოვან იყო და უშიში ყოვლითურთ, ვითარცა უხორცო“.

უცნობი ავტორი რამდენიმე ფრაზით აღწერს გიორგი მეფის ბრძოლებს ბასილი კეისრის წინააღმდეგ და სულმოკლე ქართველთა ღალატის ამბავს, – შემდეგ გვაუწყებს მის გარდაცვალებას. გვაუწყებს, ისე, რომ სინანული შეგვიპყრობს ამ დიდებული მეფის შესახებ აქ თქმულს გარდა რომ არაფერი მოიძიება ფოლიანტებში. „გარდაიცვალა გიორგი მეფე, სავსე ყოვლითა სიკეთითა, ჟამსა ოდენ სიყრმისასა, რომელ არავინ გამოჩენილ იყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვნებითა, ჭაბუკობითა და სიქველითა, ტანითა და სახითა, ცნობითა და სავსე ყოვლითა განგებითა სახელმწიფოთა, ქრონიკონსა ორას ორმოცდაშვიდსა, თვესა აგვისტოსა თექვსმეტსა, ქვეყანასა თრიალეთისასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების მყინვარნი გინა იწრონი. და დაუტევა გლოვა და მწუხარება ყოველთა მკვიდრთა მამულისა და სამეფოსა მისისათა. იგლოვდეს ყოველნი სიკეთისა და სიჭაბუკისა და ახოვნებისა მისისათვის. წარიყვნეს და დამარხეს საყდარსა ქუთათისსა“.

ეს არის და ეს, რაც ხელთ ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიას როგორც სვეტიცხოვლის ამშენებლის, ისე იმდროინდელი საქართველოს მეფის შესახებ.

ამ ორი, ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი მწირი ინფორმაციით მწერლის ფანტაზია ქმნის ფაბულას –

ხუროთმოძღვარი აშენებს სვეტიცხოველს. დიდი შემოქმედი საკუთარი ღირსების შეგრძნებით თავს მეფესაც უტოლებს, რაკი ნებაყოფლობით არ ამბობს უარს სატრფოზე, რომელიც იმავდროულად მეფესაც შეყვარებია სიცოცხლეზე მეტად. ამ მიზეზით, და სვეტიცხოვლის ცუდად აშენების საბაბით, მეფის ბრძანებით მკლავს ჭრიან ოსტატს.

ასე გამოინაკვთა სქელტანიანი წიგნის სქემატური ფაბულა, რომლის სიუჟეტური ხორცშესხმით კონსტანტინე გამსახურდიამ შექმნა ბრწყინვალე საგმირო-სატრფიალო რომანი, რომლის ფორმამ – მშვენიერმა და ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელმა, ერთი შეხედვით ისტორიულ-სათავგადასავლო ჟანრმა, ოსტატურად შეიფარა ისეთი მწვავე თანადროული იდეები, რომ ამ რომანის საბჭოთა სკოლაში სწავლება საბჭოთა იდეოლოგიის მიერ უვიცობაზე შობილი პარადოქსების კიდევ ერთ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს.

(განა პარადოქსი არ იყო თუნდაც ის ფაქტი, რომ მეფის რუსეთს ხალხთა საპყრობილეს უწოდებდნენ, თავად კი მეფის რუსეთზე შორს გადასწიეს გავლენის სფეროები და დღენიადაგ ტრაბახობდნენ, რომ მათი ჩექმის კვალი დედამიწის ერთ მეექვსედზე იყო აღბეჭდილი...)

მწვავე, თანადროული იდეები „დიდოსტატის მარჯვენაში“ დაკვირვებული თვალისათვის ძნელი ამოსაკითხი არ არის.

დავიწყოთ თუნდაც მწერლობის რაობის განსაზღვრით.

„მწერლობა მიჩქმალული გმირობის გამოსარჩლებაა“

ეს ფრაზა შემთხვევით არ დაუწერია მწერალს. იგი მას კონცეფციის დონეზე აჰყავს.

მერე და რა არის ამაში საკვირველი? საკვირველზე რა გითხრათ, მაგრამ ეს უბრალო და მართებული კონცეფცია თავისთავში სწორედ იმ კონცეფციის უარყოფას გულისხმობს, რომელზეც ე.წ. სოციალისტური რეალიზმი იყო დაფუძნებული.

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად
მიგაჩნდეს
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
საქმე ის არის, კაცს ის
უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

ილიას ამ სიტყვებში გამოხატული აზრი ჭეშმარიტი მწერლობის საფუძველთა საფუძველია. აბა გაიხსენეთ „შუშანიკის წამებიდან“ მოყოლებული, ვის მხარეს იდგა, ვის ესარჩლებოდა ქართველი მწერალი.

ერთადერთი „რეალიზმი“, რომელიც გამარჯვებულის, გაბატონებულის მხარეს დადგა, იყო სოციალისტური რეალიზმი და არის ამ ფსიქოლოგიური მემკვიდრეობით დამძიმებული მწერლობა.

1921 წლიდან მოყოლებული არ გამოქვეყნებულა არც ერთი ნაწარმოები თანამედროვე რობინ ჰუდზე ან თანამედროვე კაკო ყაჩაღზე ან თანამედროვე სიმონა ძალაძეზე, რადგან მწერლობა უკვე მათი უკან მდევნელების მხარეს იდგა...

მწერლობისთვის დადებითი გმირი იყო ის, ვინც დადებით მოქალაქედ აღიქმებოდა ხელისუფლებისთვისაც, ასეთებს კი გამოსასარჩლებელი არაფერი სჭირდათ.

აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რას უსახავს მიზნად საკუთარ თავს მწერალი. ზემოთქმულის გათვალისწინებით კი მიჩქმალული გმირობის გამოსარჩლების მწერლისეული კონცეფცია, მხოლოდ უბრალოდ მართებული კონცეფცია არ არის, ისე როგორც ყმაწვილის მიერ ნათქვამი სიმართლე – მეფე შიშველიაო – არ გახლავთ უბრალოდ ფაქტის დაფიქსირება, რადგან ამ ფაქტის დაფიქსირებას სხვა ვერავინ უბედავს მეფეს...

თავი II

ერთმორწმუნე საქართველო და „ბიზანტია“ ანუ კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნული მრწამსი

ყველაზე გლობალური და მწვავე თანადროული იდეა, რასაც „დიდოსტატის მარჯვენაში“ ამოიკითხავთ, ეს არის ერთმორწმუნეობის, ანუ ერთი იდეოლოგიის საფარქვეშ დიდი ქვეყნისაგან მცირერიცხოვანი სახელმწიფოს დაჭრობის ცდა.

როცა ქრისტიანულ საქართველოს არაქრისტიანული ქვეყნები ებრძოდნენ, ერი რჯულსა და ქვეყანას ერთნაირი თავგამეტებით იცავდა მომხდურთაგან.

ასეთ ვითარებაში ქართველი კაცის მტრის სამსახურში ჩადგომას გამყიდველობა, ღალატი, გადარჯულება ერქვა.

ერთმორწმუნე ბიზანტია კი უფრო ცბიერად იქცეოდა. იგი ერთმორწმუნეობის ნიღბით მოდიოდა. ეკლესია-მონასტრებით, საერთო რწმენითა და საერთო კულტურული ფასეულობებით უხვევდა თვალს ქართველთ და ასეთ ვითარებაში მტრის სამსახურში ჩადგომა, რასაც ზოგი გაცნობიერებულად, ზოგიც გაუცნობიერებლად სჩადიოდა, უკვე ქვეყნის ღალატად კი არა, ლამის მამულიშვილურ საქმედ ინათლებოდა.

აბა, როგორი საქმეა, დიდი მფარველი გყავდეს, იმავე მფარველის წყალობით თან სხვა, ურჩ თანამემამულეზე უკეთ ცხოვრების გარანტია გქონდეს და თან მამულიშვილადაც ინათლებოდე...

ერი და ბერი აჰყვა ამ საცთურს.

იქ, სადღაც, შორს, უცხოეთში უკეთესი ცხოვრებაა. ის უცხოეთი „გულში გიხუტებს“, ერთად ყოფნას, ერთობლივ „ბედნიერებას“ და საერთო მტრის – ურჯულოთა წინააღმდეგ ერთად ბრძოლას გთავაზობს, – თან ცბიერი ღიმილის უკან, ცეცხლი და მახვილი აქვს მომარჯვებული... და აივსო საქართველო კეისართა ომებში თავგადაკლული რაინდებით, სხვისი ომებიდან წამოღებული ჯინჯილებით.

ყოველგვარ უცხოურს პატივი და დიდება დაედო.

„დედოფალი და კათალიკოსი ისე გაიტაცა ბრმადმორწმუნეობამ, რომ ისინი საქართველოს მტერს როდი ჰხედავდნენ კეისარში, არამედ ქრისტიანული სამყაროს უზენაეს არსებას, რომელიც ვითარცა რომის იმპერატორი და „პონფიტექს მაქსიმუმ“, მხოლოდ ღმერთს უთმობდა პირველობას ამ ქვეყნად.

ბიზანტიასთან სჯულის ერთიანობით დაბრმავებულმა თავისი სამეფო გადასცა ბასილ კეისარს სენაქერიმმა, სომხეთის მეფემ. გიორგი პირველს კი, ქართველთა მეფეს, კარგად აქვს გაცნობიერებული – შარბათით საწამლავს აწვდიან მის ქვეყანას.

„ბასილი კეისარს ეს უნდა: ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს როგორმე სანამდის პირში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძაღლთაპირი ბასილი კეისარი“ – ასეთია შეუვალი პოზიცია მეფისა.

მტერი ორჯერ მეტად მაშინ არის საშიში, როცა ძლიერ ხელთან ერთად შენზე მეტი კულტურა და უფრო დიდი წარსული აქვს, თორემ ძლიერსა და ბრიყვ დევს სუსტი და ჭკვიანი ნაცარქექაც უღებს ბოლოს ადრე თუ გვიან.

ბიზანტია სწორედ ქრისტიანული ფორპოსტის სახელს, თავის დიდ კულტურასაც იყენებდა ერთმორწმუნეთა დასამორჩილებლად. ამ კულტურითა და ბიზანტიონის ბრწყინვალებით დაბრმავებულ თანამემამულეთა გასაგონად წერია რომანში: „საერთოდ ქურდებია ბიზანტიელები, შჯული ებრაელებს მოპარეს, ენა – ძველბერძნებს, ბულგარელებს ცეტინიუმი, სომხებს ანისი, ბასიანს გადაღმა ქვეყნები – ქართველებს, ხოლო სინდისი ვერავის წაგლეჯეს, რადგან ასეთი რამ არ სჭირიათ ჯერაც“.

ახლა ლოგიკურად ისმის კითხვა, რისთვის დაჭირდა ეს მგზნებარე ანტიბიზანტიური პასაჟები კონსტანტინე გამსახურდიას. ამ სახელმწიფოს არსებობამ ხომ საუკუნეების წინათ დალია ჩაილურის წყალი და მისი დიდება, მისი წითელწაღიანი იმპერატორები ისევე გაჭრენ ისტორიის კორიდიდან, როგორც მათი წინამორბედი ძლევამოსილი რომაელები?

მე-19 საუკუნეში წითელწაღიან ბიზანტიის იმპერატორებს რუსეთის იმპერატორები შეენაცვლენ, მე-20 საუკუნეში კი წითელდროშიანი რუსეთის გენსეკ-იმპერატორები.

მე-19 საუკუნეში რუსეთი ერთმორწმუნეობის ნიშნით შემოიჭრა საქართველოში. მე-20 საუკუნეში კი საერთო პროლეტარულ-ინტერნაციონალისტური იდეოლოგიით.

კონსტანტინე გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენით“ გაბედულად ეხმიანება მე-19 საუკუნის 60-იანელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ კონცეფციას, რაც აკაკიმ ასე ლაკონურად გამოხატა:

„დამეხსენი ჩრდილოელო!..
რა მაქვს შენთან საზიარო!
თვით ოხერო, მოუცველელო,
როგორ გინდა მომიარო?..
შენი ტყვე ვარ, მაგრამ ჩემ
გულს
ანუგეშებს ის იმედი,
რომ ოდესმე შენს ცხრაკლიტულს
მთლად დალეწავს ჩემი ბედი!“

ორ კუროპალატს შორის გამოჭყლეტილი გიორგი I, სწორედ ამ ბედის მონატრებაა.

გაგრძელება იქნება

ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი წამყვან რეგიონებზე, აფხაზეთზე ოსეთზე და თვით აჭარაზე, რომელსაც მკაცრი ხელით განაგებს ადამიანი, რომელსაც თბილისში ასლან-ფაშას სახელით მოიხსენიებენ.

საქართველო ებრძვის წარსულის გადმონაშთებს

1995 წლის ბოლო დღეებია... ორი წლის გაჭირვების, უსინათლობის და კიდევ ვინ იცის, რამდენი უბედურების შემდეგ, თბილისის ცენტრი სუნთქვას იკრებს და აქტიურ ცხოვრებას უბრუნდება. რუსთაველის გამზირზე, რომელსაც ჯერ კიდევ ატყია განვლილი ბრძოლების კვალი, ახალი კაფეები და რესტორნები იხსნება. ქუჩაში გამოფენილ მაგიდებს გვიან ღამემდე უსხედან ახალგაზრდა თბილისელები. ბაზრები და მაღაზიები სურსათ-სანოვაგით აივსო და ქალაქის ქუჩებში ისევ ისე ქაოტურად დაქრიან უცხოური მარკის მანქანები.

ჩვენი თბილისელი მეგობრები, რომლებიც არცოუ ისე წყალობენ ახალ ხელისუფლებას, საკუთარ გულისნადებს გვიზიარებენ: „ნამდვილი კოშმარი გადავიტანეთ: შეიარაღებული ბანდები და მილიცია ერთპიროვნულად ბატონობდნენ ქალაქში, ყოველივე მათ ხელში იყო. რეკეტმა მოიცვა წარმოებაც და კომერციაც. ადამიანები ერიდებოდნენ მანქანით ქალაქში გამოსვლას. მაგრამ, მაისიდან დაწყებული, ვითარება თანდათანობით იცვლება. ხელისუფლება ბევრ დაპირებას იძლევა, მაგრამ არვინ უწყის, სინამდვილეში რა გველის". თბილისი ჰორებითაა სავსე. გაზაფხულზე ედუარდ შევარდნაძის ერთგულმა სამართალდამცველმა სამსახურებმა აქტიური ქმედება იწყეს და მათი ძალისხმევა სულ უფრო საგრძნობი ხდება. ამას კი შედეგად მოყვა 1995 წლის 29 აგვისტოს თავდასხმა. თბილისში იმასაც გაიგონებთ, რომ აფეთქება ნაწილია იმ გეგმისა, რომელიც სახელმწიფო კონტროლს გარიდებული, საკუთარ ნებაზე მოქმედი შეიარაღებული ჯგუფების საბოლოო მოშთენას ითვალისწინებდა. ასეა თუ ისე, თავდასხმის შემდეგ ასობით მაფიოზური შეიარაღებული პირი დააპატიმრეს. ამან კი აშკარად გააჯანსაღა ატმოსფერო და საქმიან ადამიანებსა და რიგით მოქალაქეებს წესრიგის დამყარების იმედი ჩაუსახა.

1995 წლის ნოემბრის არჩევნებმა არა მხოლოდ დაადასტურა და განამტკიცა პრეზიდენტის ლეგიტიმურობა, არამედ პარლამენტის უმრავლესობის მხარდაჭერაც მოუპოვა მას. ეს ერთობ მნიშვნელოვანი და მრავლისმანიშნებელი მოვლენაა. მაგრამ მზად არიან თუ არა თვით ქართველები გაითავისონ რეალური სიტუაცია? ხელეწიფებათ თუ არა მათ დაძლიონ საკუთარი წარსულის გადმონაშთები, ე.წ. „არქაიზმები", რომლებმაც ამდენი უბედურება დაატეხეს მათ თავს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ?

„ჩვენ რასისტები არ ვართ. ქართველები ყოველთვის ხელგაშლილნი ხვდებოდნენ სტუმრებს. აბა, ერთი, თბილისის ცენტრს დაჰკირდით: სიონის ტაძრის გვერდით, საუკუნეების მანძილზე დგანან სინაგოგები და მეჩეთები". მაგრამ რამდენი უხილავი ქვედინება ახლავს ქართულ სინამდვილეს! თუნდაც ის, რომ, ჩვეულებრივ, ქართველი საკუთარ უბედობაში სხვებს ადანაშაულებს - ლაპარაკობენ უმცირესობათა პრეტენზიებზე, მეზობლების (სომხები, აზერბაიჯანელები, წარსულს თუ გავიხსენებთ, თურქები, სპარსელები) შურზე, რომელსაც, როგორც გვიმტკიცებენ, ქვეყნის ზღაპრული სიმდიდრე იწვევს და რუსულ იმპერიალიზმზე. ზვიად გამსახურდიას დროს კიდევ უფრო მეტად იმძლავრა ნაციონალისტურმა გზნებამ. დღესაც ბევრი ინტელიგენტი ხოტბას ასხამს „დიად საქართველოს". ამ ჭარბმა ნაციონალიზმა გამოიწვია სწორედ აფხაზეთისა და ოსეთის სისხლიანი მოვლენები. ქართველების აზრით, „აფხაზები და ოსები ძალიან ბევრს ითხოვენ".

ქართველების ხასიათზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული მომავალში და სწორედ ეროვნული ხასიათის სირთულე ხდება მიზეზი იმისა, რომ დღეს ქვეყნის ბედის განჭვრეტა ესოდენ ძნელია. უმცირესობებისადმი ქართველთა მიმართება წარმოაჩენს თვით ქართველთა შორის არსებულ, ისტორიული ხასიათის მქონე დაშორიშორებას. საქართველო ხომ დიდხანს დაყოფილი იყო ერთმანეთის მოქიშპე სამთავროებად! ამის გამოძახილია ის, რომ კონსტიტუციის ტექსტში არაფერია თქმული სახელმწიფოს მოწყობაზე, მის სტრუქტურაზე, იმაზე, ფედერალური იქნება იგი თუ არა.

აფხაზეთთან და ოსეთთან კონფლიქტს, გამსახურდიას მმართველობის დროს, შინაური დაპირისპირების მომძლავრებაც თან დაერთო - დასავლეთი (სამეგრელო, აჭარა) აღმოსავლეთს (ქართლი, კახეთი) გაემიჯნა.

ყოველივე ამის მიზეზი საქართველოს ისტორიის სიღრმეებში უნდა ვეძიოთ, ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ რუსულ-საბჭოური იმპერიის როლიც. აქ აუცილებელია გავიხსენოთ, თუ რა პირობებში მოხდა გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერა და ისიც, რომ ბრეჟნევისა და შევარდნაძის ეპოქაში საქართველომ „პრივილეგირებული რესპუბლიკის" სტატუსი შეიძინა. ამ დროს ქართული ინტელიგენცია შედარებით თავისუფლად გრძნობდა თავს. როდესაც ისტორიულ ექსკურსს მივმართავთ, უნდა გავიხსენოთ სტალინისა და ბერიას „დავწლიც"...

ისევე, როგორც ყველა სხვა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოში, საქართველოშიც ინტელიგენციაა მეტწილად დამნაშავე იმაში, რომ ქვეყანა ვერ სძლევს საკუთარ „მწვავე პრობლემებს". ყველაფერის საბჭოურ სისტემაზე გადაბრალება საქმეს ვერ შველის. შედეგი კი სავალალოა. სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დროს საქართველო იმედოვნებდა, რომ გახდებოდა „საერთაშორისო მნიშვნელობის გზაჯვარედინი", ამიტომაც არ ერეოდა მეზობლების შუღლში. მაგრამ აი, თვით საქართველოს დაატყდა უბედურება: ქვეყანა დაქუცმაცდა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი წამყვან რეგიონებზე, აფხაზეთზე, ოსეთზე და თვით აჭარაზე, რომელსაც მკაცრი ხელით განაგებს ადამიანი, რომელსაც თბილისში ასლან-ფაშას სახელით მოიხსენიებენ.

დიდი რუსი მეზობლის პრესი

1995 წლიდან, საერთაშორისო დახმარების წყალობით, საქართველოს ეკონომიკას გამოცოცხლება დაეტყო. ბევრი ამის მიზეზს თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაში ხედავს. ეს, პრაქტიკულად, ერთადერთი „საგარეო გზაა", რომელიც საქართველოს შემორჩა, მას შემდეგ, რაც გადაიკეტა ჩრდილოეთისკენ მიმავალი არტერიები. მაგრამ ამ კომერციულ ბუმს ბევრი მანკიერება ახლავს თან: პირველ რიგში, იგი მოსახლეობის მცირე ნაწილს თუ აკმაყოფილებს (განსაკუთრებით აფხაზეთიდან და დასავლეთ საქართველოდან ლტოლვილებს, რომლებმაც, როგორც ამბობენ, დაიპყრეს დედაქალაქის ბაზრები), შემდეგ კიდევ, იგი საგრძნობლად აბრკოლებს საკუთარი წარმოების აღორძინების მცდელობას - ეროვნული ნაწარმი მსგავს კონკურენციას ვერ გაუძლებს.

ორი ქრონიკული სენი ხელს უშლის საწარმოთა ამოქმედებას. პირველი, ყველასთვის კარგად ცნობილი, მაფიოზურ დაჯგუფებათა ზღვარულები პარპაშია. საბჭოთა ეპოქიდან მოყოლებული, საქართველოში არსებობდა აქტიურად მოქმედი პარალელური სტრუქტურები, რომლებმაც მკვიდრად მოიკიდეს ფეხი რესპუბლიკის სურსათით მომარაგებაში, მომსახურების სფეროში, ვაჭრობაში და თვით სახელმწიფო საწარმოებში. ეს სტრუქტურები დაუკავშირდნენ ახლად წარმოქმნილ კრიმინალურ ჯგუფებს, რომლებსაც სახელმწიფო აპარატშიც ჰქონდათ საყრდენი (მხედველობაში გვაქვს მხედრიონი). ამას კი ნულამდე დაყავდა ნორმალიზაციისკენ მიმართული ყოველი მცდელობა.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და აქტიურად მოქმედი კრიმინალური სტრუქტურების მოშთენა ახალ ჰორიზონტებს ხსნის, მაგრამ საკმარისი იქნება კი ეს? „არაფერი არ შეიცვლება, - ამტკიცებს ბევრი ჩვენი რესპონდენტი, - განმეორდება ის, რაც 1972 წელს მოხდა, როდესაც მჟავანაძე შევარდნაძემ შეცვალა": ამ უკანასკნელმა ძველ მაფიას ახალი, საკუთარი მაფია შეუნაცვლა. „სრულებითაც არა, - პროტესტს აცხადებს ედარ შენგელაია, - შევარდნაძეს გადაწყვეტილი აქვს ბოლომდე მიჰყვეს დაწყებულ საქმეს. მხედრიონის შემდეგ, პოლიციის რიგი დგება, „წმენდა" აქაც მოხდება. ჩვენ საბაჟოს და საგადასახადო სამსახურსაც მივხედავთ".

თუკი მართლაც ასე მოხდა, ეს უკვე ჭეშმარიტი რევოლუცია იქნება ქვეყნის ეკონომიკურ . და პოლიტიკურ სტრატეგიაში. ამას გარკვეული დრო დაჭირდება, მაგრამ ერთ ფაქტორს შეუძლია ამ ამოცანის გადვილება - მხედველობაში გვაქვს საერთაშორისო ორგანიზაციების თანადგომა, რომლებიც, მართალია, ჯერ კიდევ ძნელად ეწყობიან პოსტსაბჭოური სახელმწიფოების რეალიებს, მაგრამ მაინც ძალუძთ დიდი როლი ითამაშონ ლეგალური სტრუქტურების გაძლიერებაში.

კიდევ ერთი ხელისშემშლელი პირობა, რომელზედაც ნაკლებად ლაპარაკობენ: ქართველები არცოუ ისე რეალისტურად აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს, მით უფრო ახლა, როცა მსოფლიო ბანკისა და „საერთაშორისო მონეტარული ფონდის" მხარდაჭერა მიიღეს. რას არ გაიგონებთ იმის შესახებ, რომ „საქართველო მომავლის ლაჟვარდოვანი სანაპიროა", რომ „ჩვენ გვაქვს ყველაზე კარგი სათხილამურო ტრასები", რომ „სულ მალე ქართული ღვინო მსოფლიო ბაზარს დაიპყრობს" და რომ „საქართველო ყველაზე მოსახერხებელი ხიდია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის"!

უეჭველია, ქართველები ბევრ კოზირს ფლობენ - მაგალითად, კასპიის ნავთობის მომავალი გზა საქართველოზე გაივლის, თუმცა, ქართველებმა ანგარიში უნდა გაუწიონ იმასაც, თუ როგორი იქნება დასავლეთის ქვეყნების წილი ამ დიდ წამოწყებაში. ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის (ლიანდაგებიც კი გაიტანეს გასაყიდად თურქეთში), მომსახურების დაბალი დონე და ამასთან ისიც, რომ საქართველოს წარმოება ბევრად არის დამოკიდებული რუსეთზე (სოფლის მეურნეობის ჩათვლით). ეს ეხება მომარაგებასაც და გასაღებასაც.

საქართველომ უნდა ყოველივე იღონოს, რათა თავი დააღწიოს თავისი დიდი მეზობლის ცალმხრივ დაწოლას. ამასთან ერთად, მან არ უნდა უგულვებელყოს მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი საბაზრო სივრცე, სადაც ქართული ნაწარმი ჯერ კიდევ ინარჩუნებს ავტორიტეტს. ბევრი კერძო მეწარმე დასავლეთის ქვეყნებს რუსეთს ამჯობინებს.

რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგება იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რუსეთის „ინტერვენცია" საქართველოს საქმეებში პოლიტიკური დებატების ამოუწურავი წყარო გახდა. რუსეთისადმი ქართველების უნდობლობას რეალური საფუძვლები გააჩნია: განა 1989 წლის 9 აპრილის „მოსკოვურმა პროვოკაციამ" არ მოიყვანა ქვეყნის სათავეში ზვიად გამსახურდია? აფხაზური კრიზისიც, ქართველთა შეცდომების გარდა, ბევრად არის „დავალებული" რუსეთის აქტიური ჩარევისაგან.

საქართველოს დსთ-ში შესვლამ მთავრობა დაუპირისპირა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, რომელიც ითხოვს, რომ საქართველომ რუსეთისგან დამოუკიდებელი პოლიტიკური არჩევანი გააკეთოს. შიში იმისა, რომ რუსეთი ისწრაფვის საკუთარ დიქტატს და გეგმებს დაუკავშიროს ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკური და სტრატეგიული მისწრაფებები, დღესაც აქტუალურია. მართლაც, დავაკვირდეთ დღევანდელი რუსეთის ახალ სტრატეგიას „ახლო საზღვარგარეთის" ქვეყნების მიმართ: რუსეთი ცდილობს გაითამაშოს საერთო ბაზრის კარტი და კიდევ უფრო მჭიდრო გახადოს ამ ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება. თუკი რუსეთი შეეცდება განავითაროს სატრანსპორტო გზები ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, შავი ზღვის სანაპიროს გავლით, მთელი კავკასიის გადაკვეთაზე, მაშინ ეს ფინანსური სტრატეგია (რუსეთის კაპიტალის შემოპრა უშუალო ინვესტიციების გზით) გადამწყვეტი და უცილობელი ფაქტორი ხდება. ზოგიერთი ქართველი საქმოსანი თუ მეწარმე უკვე აქედანვე ემზადება ამისთვის, მიიჩნევს რა, რომ ქვეყნის გეოპოლიტიკური სტაბილურობა, რომელსაც საგრძნობლად აფერხებს კავკასიელ მეზობელთა შუღლი და მეტოქეობა, არ მოხერხდება რუსეთის გარეშე და კიდევ უფრო მეტად, მისი ნების საწინააღმდეგოდ.

შევარდნაძე ცდილობს გააწონასწოროს ორი ქვეყნის „დიალოგი". კიდევ მეტად განავრცოს უცხო ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობათა არე და აღმოაჩინოს ფინანსირების ახალი წყაროები. ახლა მთავარია, თუ რარიგ გამოეხმაურებიან ამ სურვილებს საქართველოს ახალი, განსაკუთრებით დასავლელი პარტნიორები? შესძლებენ კი ისინი გაამართლონ საქართველოსა და მისი ლიდერის იმედები?

ქან რადვანი
აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციის ეროვნული ინსტიტუტის პოსტსაბჭოური სახელმწიფოების შემსწავლელი ცენტრის პროფესორი.
(„მონდ დიპლომატიკ", 1996 წელი)

ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა.

იუმორის ბვერდი — ფუთშესვენებაზე

ანეკდოტები და კურიოზები ტელევიზიაში

მერაბ ბერაძე

არც რა მიშველა ფიტილმა,
არცა ცარმლოემის დენამა,
მიშველა ის

„შავწიგნოსანი“

„ჩემზე აძბობენ: „ის ქართველისას
იცუდეს ამბობს,
ჩვენ ჭუჭყს არ მალავს, ეგ ხომ
ხადი სიძულვილია!
ბრიყვნი ამბობენ; კარგი გული
კი მაშინვე ჰგრძნობს
ამ სიძულვილში რაოდენიც
სიყვარულია“
ილია

კიტა ბუაჩიძეზე თუ ვწერ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს სულიერ სამყაროსთან რატომღაც ვგრძნობ მის ნათესაურ ურთიერთობას.

„მისი „შავი წიგნი“ ეს საშინელი სიმართლის, შავი სიმართლის ღაღადისია“ (პროფ. ალეღლონტი). ვიჩიარებ ამ შეფასებას.

რაც შეეხება ავტორს, მის მრწამსს, უნდა ვენდოთ თვით ბატონ კიტას, რომელიც თავისი „შავზე შავი წიგნი, ანუ როცა ბედი წყდება საქართველოსი“-ს (1996 წ.) 351-ე გვერდზე წერს: „მზად ვარ დღესვე ფერფლად ვიქცე ჩემი „შავი წიგნებიანად“, ოღონდ საქართველო ნუ დაიფერფლება“.

კიტა ბუაჩიძე შემთხვევით გადარჩენილი რაინდია, დიახ, რაინდი! დიდებულ წინაპართა მსგავსად, იგი ყოველთვის ხმალშემართული ებრძვის ჩვენს შინაურსა და გარეულ ავისმსურველებს, ჩვენს მტრებს...

სამწუხაროა, რომ დღეს ქართველი ერი მოითხოვს შველას არა საკუთარი ხალხისაგან, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისაგან, მათი სხვადასხვა გაერთიანება კონგრესებისაგან და, რაც მეტად სამარცხვინოა, ჩვენს უშუალო დამპყრობელ-გამანადგურებლისაგან (რუსეთი გვაქვს მხედველობაში). დიახ, იმ ქვეყნისაგან, რომლის თეთრი თუ წითელი რეჟიმის წყალობით კინალამ ამოვწყდით ფიზიკურად.

შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი მტრების გასახარად, სულ რაღაც 25 წლის განმავლობაში (ოციანი წლებიდან ომის დამთავრებამდე), რუსეთის მიზანდასახულებიდან გამომდინარე, ასეულ ათასობით უდანაშაულო ადამიანი მოვსპეთ ფიზიკურად, - დავხვრიტეთ, ამოვჟლიტეთ ვაგონებში და მდინარის პირებზე- გასახლება და კატორღები! 400 ათასი ომში დაღუპული! იგივე დავმართეთ ეროვნულ კულტურას, - „ძველის ნგრევა და ახლის შენება“! ინტერნაციონალურ უღელში შებმა და ყოველგვარი ტრადიციული სამყაროს არარაობად ქცევა! ამიტომაც აღარა გვყავს შთამომავლობა 100 ათას თავმოკვეთილთა და მტკვარში გადაყრილ თავდადებულთა, ცხრა ძმა ხერხეულიძეთა და ცხრა ძმა მაჩაბელთა, იქვე, მარაბდაში, შვიდ ძმა ჩოლოყაშვილთა და სხვათა (მათი საფლავების მოვლისთვისაც ვერ მოვიცალეთ). დიახ, დღეს აღარ გვყავს მარაბდელნი, არაგველნი, ალგეთელნი, ასპინძელნი...

გმირ წინაპართა შთამომავალთაგან გვყავს დოლარითა და ლარით შეჯავშნილი ასეულ ათასობით მანქანოსანი, უმეტესწილად ფიზიონომიადაკარგულნი, გარყვნილნი, სულწაყმედილნი; გვყავს მშიერ-მწყურვალი, გაჩანაგებული, სიკვდილის პირას მისული ინტელიგენცია.

- ბოლოს და ბოლოს, რამდენი ვართ ამ პატარა საქართველოს მაცხოვრებელი, ბატონო კიტა? გვიშველის კი, თქვენი მოთხოვნით„ თითოეულ ოჯახზე თუნდაც სამი ნამატი?!

არაფერი გვითქვამს ახალ, მმართველ ელიტაზე: გუბერნატორთა, გამგებელთა (უმეტესწილად გაუგებელთა), მთავრობის, სამინისტროების, დეპარტამენტებისა და სხვათა შესახებ, სოფლებიდან გადმოხვწილ გლეხებზე, ხეიბრებზე, უპატრონო და მარტოხელა ადამიანებზე, ყოველ ნაბიჯზე წამომვდარ მთხოვრებზე და, ამ უბედურების ფონზე, 200-ზე მეტ კერძო უმაღლეს სასწავლებელზე, აკადემიებსა და ე.წ. კვლევით ინსტიტუტებზე, საზოგადოებებზე, პარტიებზე, კონგრესებზე, ასოციაციებზე!

გვიშველის კი თქვენი გამომაფხიზლებელი „შავი წიგნები“, ბატონო კიტა? ვინ მიიყვანა ამ ყოფამდე ღვთისმშობლის, - ყოვლადწმინდა მარიამის წილხვედრი ქვეყანა?

გვჯერა, ღმერთი არ გაგვწირავს და გვიხსნის გადაგვარება-გადაშენებისაგან. საქართველო აღსდგება!!!

ეს მოხდება არც ისე დიდი ხნის შემდეგ, მაშინ, როცა ასევე ღვთის წყალობით, დაინგრევა თანამედროვე კართაგენი (რუსეთის იმპერია). ისტორიას ჩაბარდა მისი - ახალი კართაგენის ორი ომი, მიმდინარეობს მესამე დამანგრეველი ომი. ფეხზე დადგა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი და დროებით კვლავ მის გალიაში მომწყვდეული ე.წ. რესპუბლიკები და ეროვნებანი, რომლებიც არამარტო მოითხოვენ, არამედ იბრძვიან კიდეც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის...

ბატონო კიტა! დღევანდელობაზე თქვენ ბრძანებთ: „თუ ასე გაგრძელდა ჩვენი ყოფა, საქართველოს გადამთიელი ახალი პატრონები გამოუჩნდებიანო“ (მიუთითებთ სომხებზე). ამას ვერ მოესწრებიან შემოხიზნულები, - და თუ მაინც არ დაიშლიან, ჭკუას არ მოეგებიან, ქართველებიც გაახსენებენ მათ 1915 წელს.

ბატონო კიტა! ნუ შეგვაშინებს საქართველოში ჯერ არნახული წამლეკავი ნიაღვარიც, ისიც დაუბრუნდება ძველ კალაპოტს; ნუ შეგვაშინებს ჩვენი ხალხის დღევანდელი შინაყოფაც, - ბრბოდ, ქაოსად ქცეული საზოგადოება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ეს სინდისგარეცხილობა, ურწმუნოება, სამშობლოს ფეხებზე დაკიდება გამოსწორდება. ქართველი ერი აღსდგება, დაუბრუნდება ძველ მამაპაპურ ტრადიციებს, საკუთარ მორალურ სამყაროს.

ჩვენი ვალია, თქვენს მსგავსად, ხელი შეეუწყოთ ამ პროცესის მსვლელობას - ჩვენს ხალხს შეკასწავლოთ დავიწყებული ისტორია, შეკასწავლოთ წარსულის გაკვეთილები, შეკასწავლოთ ქართული და არა შეეიკარულ-ამერიკული სახელმწიფო სამართალი, ისტორიულად ყოველი კუთხისათვის დაწერილი თუ დაუწერელი კანონები, ეროვნული ტრადიციები, ადათ-ჩვეები... „აღდგენა ისტორიისა ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან“, - გვასწავლის წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე).

ვახტანგ ბურბენიძე,
სექტემბერი, 1996 წელი.

მკითხველია ფეიერვერკი

ვითომ შემთხვევით?!

ამ ბოლო დროს მავანთა და მავანთა მხრიდან ანტიქართული ქმედება თითქმის არ გვიკვირს - შინაური თუ გარეშე მტერი ყოველ ნაბიჯზე ცდილობს შერყვნას, შეურაცხყოს ერის სული, მისი კულტურა. იმდენად მივეჩვიეთ ამგვარ ქმედებას, რომ ხშირად ამა თუ იმ „კეთილისმსურველის“ ახალ გამოხდომას ყოველგვარი რეაგირების გარეშე ვტოვებთ.

ასეთ პირობებში ბევრს შეიძლება ნაკლებად მნიშვნელოვნად მოეჩვენოს ჩვენი ამჟამინდელი რეპლიკის საგანი. ნეტავი ასეც იყოს. რამდენიმე დღის წინ ვნახე სასტუმრო „მეტეხის“ საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტი. ვისაც უნახავს, დამერწმუნება, რომ ის პოლიგრაფიულად მაღალ დონეზეა შესრულებული, შინაარსობრივადაც სავსებით პასუხობს მის დანიშნულებას, ერთი გარემოება რომ არა...

ბუკლეტის თავფურცელზე თბილისის ერთ-ერთი ხედის ფერადი ფოტოა გამოსახული. ფოტოზე აღბეჭდილია აბანოთუბანი და მის ფონზე მეჩეთის შენობა. თვით აბანოთუბანი და მისი ერთ-ერთი ცენტრალური ნაგებობა - „ჭრელი აბანო“ მოგეხსენებათ ე.წ. აღმოსავლური სტილისაა და მის ფონზე მეჩეთი თბილისის გასაცნობად თუ საჭირო ვიზიტია. ჩვეულებრივ ადამიანებს, რაც ეს ფოტო, როგორ შთაბეჭდილებასაც მოახდენს, არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი. სამწუხაროდ, ბუკლეტი არა მარტო მეტეხში ჩამოსულ სტუმრებს უვარდებათ ხელში, ის სარეკლამო საშუალებაა და ვრცელდება ევროპისა თუ აზიის მრავალ ქვეყანაში (თუნდაც იმ ქვეყნებში, სადაც „მარკო-პოლოს“ ქსელია განთავსებული). როგორც მოგახსენეთ, ერთი შეხედვით შეიძლება შემთხვევითობას მიაწეროს კაცმა და ყველაფერი ჩვენს „გაზვიადებულ ეჭვიანობას“ დააბრალოს - ყველაფერში ანტიქართული ეჩვენებათო. სამწუხაროდ, საქმე ასე არ უნდა იყოს, თორემ ამ ფოტოს ავტორს ისეთი „სტრატეგიული“ ადგილი აქვს შერჩეული, რომ სათანადო სურვილის შემთხვევაში ობიექტივის ჩრდილოეთის მიმართულებით რამდენიმე გრადუსით შემობრუნებაც საკმარისი იქნებოდა ჩვენი ქალაქის არანაკლებ ეფექტური ხედი დაეფიქსირებინა - სიონის ტაძარი. მაგრამ სწორედ ეს სურვილის არქონაა, ხშირად ჩვენს „მოკეთეებს“ ანტიქართულ საქმეებს რომ აკეთებინებს.

მართლაცდა, ვითომ შემთხვევით?!

მ.ღვინიაშვილი





თარაზულად: 1. ბედნიერი გამონაკლისი უდაბნოში; 6. ძლიერი გაჯავრება; 7. ყრილობის, პარტიის ხელმძღვანელი ან განმკარგულებელი ორგანო; 10. მჭადი, რომელშიც ყველია შერეული; 11. ზღვის ქაფიდან დაბადებული ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 13. უეშმაკო, მოუხერხებელი, დაბნეული; 16. ღვინის ობი; 17. დარტყმა კრივში; 18. ფეხის ნაწილი; 19. რბილი, ხაოიანი ტყავი; 20. სოფელი გარდაბნის რაიონში; 22. ზედმეტად ცხიმიანი; 25. დიდი ვენახი; 16. ხეხილოვანი მცენარე; 27. პოპულარული ფრანგი მსახიობის - მიშელ მერსიეს ეკრანული სახე; 29. გაკვირვების გამომხატველი შორისდებული მოხვეთა, გურულთა და რაჭველთა მეტყველებაში; 30. ღილის შესაკრავი ჭრილი ტანსაცმელზე; 31. სამხედრო იარაღისა და საჭურვლის საწყობი; 33. ქართული ღვინო; 34. გათხოვილი ქალისადმი მიმართვა ზოგ ქვეყანაში; 35. ოთახის ძაღლი; 36. კუნძული იაპონიის სამხრეთ ნაწილში.

შვეულად: 2. სათუთი, ნებიერი; 3. ქიშმიშის სახეობა; 4. საცხოვრებელი სამხედრო ნაწილისათვის; 5. ქართლ-კახური კლასიკური, მაღალმხატვრული სიმღერა; 8. ინგლისური ტანკი; 9. ბოჭკოვანი შემაერთებელი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე; 10. ყმაწვილი ვაჟი; 12. თვალწარმტაცი ადგილის ეპითეტი; 14. სამხედრო გამოფენის დახურული დათვალიერება; 15. ოკეანის კუნძულები წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში; 21. ესპანელი ჩოგბურთელი; 23. ღმერთების უკვდავმყოფელი საჭმელი ძველ ინდოელთა რწმენით; 24. ერთგვარი სიდიდის, მაგრამ ნიშნის მიხედვით საპირისპირო ორი ელექტრონული მუხტი, ერთმანეთთან ახლოს მდებარე; 25. ზოლებიანი ცხოველი; 27. თემის მეთაური და მოსამართლე ლათინური ამერიკის ზოგ ქვეყანაში; 28. ხის აღვირი; 32. ჩერჩილის უახლოესი მრჩეველი მეორე მსოფლიო ომის დროს; 33. მწერი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. აკინო; 4. ფურნე; 8. მუსოლინი; 9. აუდიფონი; 10. იმერეთი; 12. ქარმალი; 16. ნელსონი; 21. გოვენი; 22. ნაყინი; 23. ბჭე; 24. რუსოსი; 27. დეფისი; 28. ათინათი; 31. კატორღა; 32. ტირანია; 34. სანდრელი; 35. კარტოზია; 36. ლისტი; 37. აქცია.

შვეულად: 2. კაზუსი; 3. ოკულარი; 4. ფუძიამა; 5. ნიანგი; 6. ტიციანი; 7. სანქცია; 11. მითვისება; 13. ლაბირინთი; 14. აგორა; 15. ქიმია; 17. ლიბრი; 18. „ორერა“; 19. ანოდი; 20. ზიზია; 25. ბატალია; 26. „სირტაკი“; 29. კონრადი; 30. ტაქტიკა; 31. კვანტი; 33. ალიევი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444